

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება

№97

16.07.2020 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“ -ის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის (შემდგომ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები თანდართული სახით.

მუხლი 2

1. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ემბლემა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს წითელ ფონზე თეთრი სიმბოლოებით ან პირიქით (პლანშეტი №1), ასევე, ლურჯ ფონზე თეთრი სიმბოლოებით ან პირიქით.
2. საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ემბლემა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ რიცხვით - „112“ ან

რიცხვით – „112“ და დასახელებით: „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი“ (პლანშეტი №2).

3. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ემბლემის ფერების კოდებია:

ა) წითელი ფერი - №FF000D;

ბ) თეთრი ფერი - №FFFFFF;

გ) ლურჯი ფერი - №045F6C.

4. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ემბლემაზე გამოიყენება შემდეგი სახის შრიფტები:

ა) ASGRAMMATIKAGEOMTAVRULI1;

ბ) HELVETICA NEUE LTGEO REGULAR;

გ) LGV BEBAS NEUE REGULAR.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

ვახტანგ გომელაური

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები



პლანშეტი №1

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის (შემდგომ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“) ემბლემა, რომელზეც გამოსახულია რიცხვი – „112“ და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის ძირითადი ფუნქციების ამსახველი სიმბოლოები.

112

112

საზოგადოებრივი უსაფრთხოების
მართვის ცენტრი

პლანშეტი №2

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის ემბლემა გამოსახული მხოლოდ რიცხვით – „112“ ან რიცხვით „112“ და მის ქვემოთ დასახელებით: „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი“.



პლანშეტი №3

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის ემბლემა: ვერცხლის არშიაშემოვლებულ ჰერალდიკურ ფარზე, მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახული მარჯვნივ მიმართული ვერცხლის ლომი; ფარზე გამოსახულია ვერცხლის სადევიზო ბაფთა წარწერით - „112“.



პლანშეტი №4

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის დროშა წარმოადგენს მართკუთხა ქსოვილს პროპორციით 2/3. დროშას თეთრ ველზე ჰორიზონტალურად გასდევს წითელი ზოლი, რომლის სიმაღლე დროშის სიმაღლის $\frac{1}{4}$ -ია. კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია ამ ბრძანების პლანშეტი №3-ით დამტკიცებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის ემბლემა.